უეფას თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო მატჩი ფეხბურთში

16-20 აგვისტო 1994 წ.
№26 (10894) ● ფასი 70 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# ნიკუ დოლია: „დინამოს" თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 40 ათასი მაყურებელი. 9 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — „უნივერსიტატია" (კრაიოვა) 2-0. მსაჯები: ჯ. ეშბი, რ. ვარენე, ა. ლეიკი (ყველანი — ინგლისიდან). უეფას დელეგატი: ჯ. ჰანტერბეინი (ლუქსემბურგი).

„დინამო": ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი (რევიშვილი), ა. არველაძე (ცქიტიშვილი), ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.

„უნივერსიტატია": არკანუ, მოგოშანუ, ბოჟოკარუ, ზამფირი, სენდოი, პაპურა, მიტრიცე (განე), პრედოი, კელინი (უნგური), სტინგა, ვასკე.

გოლები: ქინქლაძე, შ. არველაძე (პენალტით).

გააფრთხილეს ლობჟანიძე.



1-0

ტაიმებს შორის მოკლე ინტერვიუ ვთხოვეთ ცნობილ რუმინელ სპორტულ ჟურნალისტს ნიკუ დოლიას (გაზეთ „კუვინტი ლიბერტიდან"). იგი გაოგნებული ჩანდა და საქებარ ეპითეტებს არ იშურებდა „დინამოს" მისამართით: თბილისელთა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კარგა ხანია არ მინახავს კრაიოვას გუნდი ასეთ უსუსურ მდგომარეობაში. ფორტუნას რომ კეთილი თვალით გადმოეხედა, პირველ ტაიმში თბილისელებს რამდენიმე ბურთი კიდევ უნდა გაეტანათ.

დიახ, ვიზიარებთ ჩვენი რუმინელი კოლეგის აზრს: იმ საღამოს დინამოელებმა ვერ გამოიყენეს აშკარა საგოლე შესაძლებლობანი. რამდენი ასეთი გამოუყენებელი მომენტი ჩამოვთვალოთ? ძმები არველაძეების, ქინქლაძის, ჯამარაულის და სხვათა მიერ მახვილგონივრულ კომბინაციებს ვერა და ვერ მოჰყვა გადამწყვეტი საბოლოო დარტყმა. ყოველივე ეს საოცრად წააგავდა „ლინფილდთან" თბილისში ნათამაშევ შარშანდელ მატჩს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუმინელთა კართან გაცილებით უფრო მეტი საგოლე მომენტი შეიქმნა. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისელთა მწვრთნელმა გივი ნოდიამ ამდენი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა ორი გარემოებით ახსნა: უიღბლობა და უზომოდ დიდი ფსიქოლოგიური პასუხისმგებლობა, რომელიც მოთამაშეებს აშკარად ბოჭავდაო. იმავე პრესკონფერენციაზე რუმინელთა მწვრთნელმა ციკლიანუმ მასპინძელთა შორის საგანგებოდ გამოჰყო რევაზ არველაძე, ხოლო საკუთარ გუნდში — მეკარე არკანუ. სავსებით ვეთანხმებით მას: არკანუს თავგანწირულმა თამაშმა ბევრჯერ იხსნა რუმინელთა კარი, ხოლო რევაზ არველაძის აქტიურმა მოქმედებამ არაერთხელ ცუდ დღეში ჩააყენა სტუმართა მცველები, განსაკუთრებით, ბოჟოკარუ.

დინამოელებმა პირველი გოლი 27-ე წუთზე გაიტანეს ქინქლაძის მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით. გაშვებული გოლის შემდეგ რუმინელები გააქტიურდნენ, მათ სწრაფი კონტრშეტევებით ორი მწვავე მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ივარგეს ჩვენმა მცველებმა (საერთოდ, ამ მატჩში თბილისელებმა ძალზე შეთანხმებულად ითამაშეს დაცვაში, რაც სასიამოვნო სიურპრიზად მოგვევლინა). შემდეგ, 59-ე წუთზე, სტუმართა მცველებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე აშკარად „მოცელეს" გოჩა ჯამარაული. პენალტი შოთა არველაძემ გამოიყენა, 2-0. ასე დამთავრდა ეს დაძაბული, საინტერესო ორთაბრძოლა.



2-0

დაველოდოთ 23 აგვისტოს განმეორებით მატჩს კრაიოვაში. ეყოფათ კი ჩვენებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად თბილისურ მატჩში მოპოვებული ორბურთიანი სხვაობა? რუმინელებს, რა თქმა უნდა, დასაკარგი არაფერი აქვთ და აშკარად გააძლიერებენ თავდასხმის ხაზს (თბილისის მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო რუმინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა კრაიოვიანუმ ევროტურნირის წინა გათამაშებაში მიღებული ორი გაფრთხილების გამო), ალბათ უფრო გააქტიურდებიან რუმინეთის ნაკრების წევრები პაპურა და სტინგა. ვფიქრობთ, დინამოელებს შესწევთ ძალა და ენერგია წარმატების მისაღწევად, ამის საფუძველს კი განვლილ მატჩში მათი თამაშის ხარისხი და მონდომება გვაძლევს.

ჯემალ ჭიპაშვილი

### ინფორმაცია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან შეგვატყობინეს, რომ 7 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საქართველოსა და მოლდოვას ეროვნულ ნაკრებებს შორის იმსაჯებს თურქეთის მსაჯთა ბრიგადა. აზმედ ჰაკარი (მთავარი არბიტრი), მაჰერამ ფირუზ-ბეი, თურგაი გიდი. სათადარიგო მსაჯი — უნსალ ჩიმენი.









სახლე ჩვენს სტადიონზე — ელექტროტაბლოზე გოლის ავტორის ვინაობასთან ერთად ჩნდება მისი გამოსახულებაც.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

# დარჩა სამი პრეტენდენტი

**ინდოეთში გამართული პრეტენდენტების მატჩების შემდეგ დარჩა სულ სამი დიდოსტატი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვის მეტოქის უფლებისთვის იბრძვიან. ესენია: გატა კამსკი (აშშ), ბორის გელფანდი (ბელარუსი) და ვალერი სალოვი (რუსეთი).**

**ამ დიდოსტატების მატჩებს, რომლებიც ეს-ეს არის დამთავრდა, ფრიად დრამატული ელფერი ჰქონდა.**

ცენტრალური გახლდათ კამსკი-ანანდის (ინდოეთი) შეხვედრა. სწორედ ანანდის მრავალრიცხოვან წარმატებათა გამო იყო, რომ ინდოეთის ჭადრაკის მესვეურებმა გადაწყვიტეს პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები თავიანთ ქვეყანაში მოეწყოთ, ანანდს საჭირო ფინანსური დახმარება გაუწიეს და მის მწვრთნელად ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა მიიწვიეს. კამსკი და ანანდი ამ მატჩამდე პრეტენზიას აცხადებდნენ არა მარტო მსოფლიო ჩემპიონობაზე ფიდეს ვერსიით (სადაც ჩემპიონი ანატოლი კარპოვია), არამედ პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიითაც, სადაც ტახტი გარი კასპაროვს ეკუთვნის. სექტემბერში ისინი ბარსელონაში ნაიჯელ შორტთან და მაიკლ ადამსთან ერთად უკვე ამ „ფრონტზე" იწყებენ ბრძოლას, ახლა კი ერთს ხელი უნდა აეღო თებერვალში კარპოვთან შეხვედრის პრეტენზიაზე. დასაწყისში ანანდის გამარჯვებას, თითქოს, ბევრი აღარაფერი აკლდა. 4 შეხვედრის შემდეგ ანგარიში იყო 3:1 მის სასარგებლოდ, აქ კი ახალგაზრდა კამსკიმ წარმოუდგენელი შეუპოვრობა და სიმტკიცე გამოავლინა, უმძიმეს სიტუაციაში მოიკრიბა ძალები, მოიგო მეხუთე და მეშვიდე პარტიები და გაათანაბრა ანგარიში, მერვე პარტია კი ყაიმით დასრულდა — 4:4. დაინიშნა ორი დამატებითი შეხვედრა შეკვეცილი კონტროლით. ანანდი „სწრაფი ჭადრაკის" დიდ სპეციალისტად ითვლება, მაგრამ მან წააგო ეს დამატებითი მატჩი და გამოეთიშა ასპარეზობას.

გ. კამსკი აგრძელებს ბრძოლას და პრეტენდენტთა ასპარეზობის ნახევარფინალში ხვდება ვალერი სალოვს.

გ. კამსკის თეორიული შესაძლებლობა აქვს ბოლო მოუღოს საჭადრაკო სამყაროში არსებულ ორხელისუფლებიანობას, კარპოვსაც ჩამოართვას მსოფლიო ჩემპიონის წოდება და კასპაროვსაც. მაგრამ ეს ვარიანტი თეორიულია, პრაქტიკა კი რას გვიჩვენებს, ამას საკმაოდ მალე ვნახავთ.

როცა ვლადიმირ კრამნიკსა და ბორის გელფანდს ერთმანეთთან შეხვედრა მოუწია, ორივემ დიდი უკმაყოფილება გამოთქვა. საქმე ის არის, რომ კრამნიკი და გელფანდი ცხოვრებაში ახლო მეგობრები არიან, საჭადრაკო თვალსაზრისით კი ნამდვილი მოკავშირეები და აქამდე ერთმანეთს ბევრ შეჯიბრებაში ეხმარებოდნენ. ისინი ჩახედული არიან ერთმანეთის საჭადრაკო საქმეებში, სადებიუტო რეპერტუარსაც დეტალურად იცნობენ. ასეთ პირობებში ეს მატჩი ორივე დიდოსტატისთვის ნამდვილ ტანჯვად გადაიქცა. პირველი ორი პარტია ყაიმით დასრულდა, მესამე მოიგო კრამნიკმა, მეოთხე — გელფანდმა. ბოლოს მცირე უპირატესობით გაიმარჯვა გელფანდმა.

ახლა ზოგი რამ მესამე მატჩის შესახებ, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ მსოფლიო პირველობის შარშანდელი შეხვედრის მონაწილე იან ტიმანი (ჰოლანდია) და თავისი შეუპოვრობით განთქმული ვალერი სალოვი (რუსეთი). საინტერესოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ტიმანსა და სალოვს უკვე მოუხდათ პრეტენდენტთა მატჩში შეხვედრა, მაშინ ჰოლანდიელმა გაიმარჯვა. ტიმანმა ახლაც კარგად დაიწყო, წინ იყო კიდეც, მაგრამ პეტერბურგელმა (თუ ლინარესელმა, სალოვი ახლა ესპანეთის ამ ქალაქში ცხოვრობს) შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 3:3. გადამწყვეტი გამოდგა მეშვიდე პარტია, რომელიც სალოვმა მოიგო, ბოლო, მერვე კი ყაიმით დასრულდა. ამრიგად, ბრძოლას სალოვი გააგრძელებს.

მაშ ასე, პრეტენდენტების ნახევარფინალური მატჩები გაიმართება თებერვალში, კვლავ ინდოეთში. ერთმანეთს ხვდებიან კარპოვი — გელფანდი და კამსკი — სალოვი. მანამდე კი, სექტემბერში, ესპანეთი უმასპინძლებს პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით ჩატარებულ პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებს.

ბივი გამრეკელი

# ახალი დიდოსტატი

საფრანგეთის ქალაქ ბელფორტში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიციის მუდმივი კონგრესი, სადაც დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს წარმომადგენელმა თბილისელმა დავით გურგენიძემ. მას მიენიჭა საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის საპატიო წოდება. ხოლო აქვე გამართულ საეტიუდო კონკურსში ველიმირ კალანდაძის ნაწარმოები ყველაზე პოპულარულად მიიჩნიეს.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა ბელფორტიდან: აქ მოეწყო საჭადრაკო ლიტერატურის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა, ქართველი ავტორის იური აკობიას ნაშრომმა „შამათის ეტიუდები, პატის ეტიუდები", საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

თვით ახალმა დიდოსტატმა დავით გურგენიძემ მონაწილეობა მიიღო სამ კონკურსში და სამივეში პირველი პრემია დაიმსახურა.

საჭადრაკო კომპოზიტორთა შემდგომი ფორუმი 1995 წელს გაიმართება ფინეთის ქალაქ ტურკუში.

# ჩემპიონისა და პრეზიდენტის შეთანხმება

24 სექტემბერს დაიწყება და 8 ოქტომბრამდე გასტანს რუსეთის პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის. ტურნირი, რომელიც ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში გაიმართება, როგორც ჩანს, თავს მოუყრის საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას. ამას გვაფიქრებინებს გამარჯვებულთათვის დაწესებული პრემიების ოდენობა. როგორც იუწყებიან, ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატებში გამარჯვებულნი, ბუნებრივია, ცალ-ცალკე მიიღებენ 40-40 ათას დოლარს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სოვეტსკი სპორტი" იხსენებს ერთ საინტერესო ეპიზოდს, რომელიც დაკავშირებულია გარი კასპაროვისა და ყალმუხეთის პრეზიდენტის, ცნობილი მილიონერის კირსან ილუმჟინოვის სახელებთან (როგორც ამბობენ ამ პოლიტიკურ მოღვაწესა და ბიზნესმენს სიმდიდრით არც მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი ჩამორჩება).

... 1991 წელს საფრანგეთის ცნობილმა საიუველირო ფირმა „კორვეტმა", რომელიც მუდამ გამორჩეულ ინტერესს იჩენდა ჭადრაკისადმი, გადაწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მატჩში გამარჯვებული დაეჯილდოვებინა ოქროს გვირგვინით, რომლის წონა 1,5 კილოგრამი იქნებოდა. ჯილდო დაამზადეს ფირმის ცნობილმა იუველირებმა. ოქროსა და პლატინის გვირგვინს, რომელიც ამავე დროს ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილებაა, ამშვენებს 10 შავი და 10 თეთრი ბრილიანტის ქვა...

გვირგვინი გარი კასპაროვის საკუთრება გახდა, რომელმაც გადაწყვიტა მისი გაყიდვა და შემოსული თანხის შეტანა სომხეთ-აზერბაიჯანის ომში დაზარალებულთა დახმარების ფონდში. გვირგვინის ყიდვა განზრახული ჰქონდათ არაბეთის საემიროების შეიხებს, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილი საქმე ჩაიშალა სპარსეთის ყურეში ამტყდარი კონფლიქტის გამო.

გვირგვინი კარგა ხანი პარიზის ერთ-ერთ საბანკო სეიფში ინახებოდა, სანამ მისი შესყიდვა არ გადაწყვიტა ყალმუხეთის პრეზიდენტმა კ. ილუმჟინოვმა ერთ მილიონ დოლარად. შეთანხმება გაფორმდა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, ხოლო თანხა კასპაროვმა რუსულ მანეთებზე გადაახურდავა და მთლიანად ზემოთ აღნიშნულ ფონდს გადაურიცხა. როგორც ამბობენ, თავად გვირგვინი ამჟამად ერთ-ერთ საერთაშორისო ბანკის სეიფში ინახება...

## რა ხდება ქვეყანაზე

● ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II სერის არისტოკრატული ტიტული მიანიჭა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონს რობერტ (ბობი) ჩარლტონს. საზეიმო ცერემონიალი შედგა ამ დღეებში ბუკინჰემის სასახლის მთავარ დარბაზში, მას სამეფო გვარისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა ბევრი უცხოელი სტუმარი დაესწრო, ჩარლტონს, როგორც ცნობილია, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 106 მატჩი აქვს ნათამაშევი და 49 გოლი გატანილი. ბრიტანეთის გულშემატკივართა კერპს ამიერიდან ოფიციალურად მიმართავენ, როგორც „სერ რობერტს". არადა, თვითონ უმჯობესად მიაჩნია უფრო შინაურული მიმართვა — „სერ ბობი"!

● როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 19 მაისს თავი მოიკლა ყველაზე ცნობილმა და პოპულარულმა ესპანელმა ველოსიპედისტმა, 1973 წლის „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონმა ლუის ოკანამ. ყოველ შემთხვევაში, პოლიციის ოფიციალური ვერსია ასეთი იყო, მაგრამ ოჯახმა გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება და ახალი ძიება მოითხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ დაღუპულის ძმის ანტუან ოკანას განცხადებით ლუისი მემარჯვენე იყო და ვერაფრით მოახერხებდა მარცხენა საფეთქელთან ტყვიის მოხვედრას.

● ჰააგაში გაქურდეს ცხენოსანთა მსოფლიო თამაშების პრეს-ცენტრი. დანაშაულის ადგილზე ოპერატიულად მისულ პოლიციას დახვდა გატეხილი კარი და აოხრებული ოთახი. პრეს-ცენტრის თანამშრომელთა განცხადებით ქურდებმა გაიტაცეს რამდენიმე კომპიუტერი და ფოტოების გადამცემი აპარატურა. ექსპერტთა შეფასებით ნაძარცვის საერთო ღირებულება 60 ათას დოლარს შეადგენს. ძიებამ ჯერჯერობით კვალს ვერ მიაგნო.

## რა ხდება ქვეყანაზე

## რინგს [illegible]

რამდენად რეალურია 45 წლის ჯორჯ ფორმენის რინგზე დაბრუნება და რა შეიძლება გამოვიდეს აქედან? დაბრუნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ეს კი არა, დანიშნულია ექს-ჩემპიონის რინგზე გამოსვლის დღეც — 5 ნოემბერი. ცნობილია ისიც, რომ ფორმენი შეხვდება მაიკლ მურერს, რომელმაც აპრილში ჩამოართვა გვირგვინი ევანდერ ჰოლიფილდს. აი, რა გამოვა აქედან კი, ძნელი სამარჩიელოა.

ფორმენი ამ ბრძოლას მხოლოდ ფულის გულისათვის არ აწყობს. ყოველ შემთხვევაში ექს-ჩემპიონს ისე არ უჭირს, რომ საკუთარი ფეხით მივიდეს სასაკლაოზე. რაღაც იმედი, ცხადია, აქვს, და ამ იმედის შესაბამისადაც იქცევა. სხვათა შორის, არც გულშემატკივრებს აქვთ მთლად ჩაქნეული ხელი. მეტოქეთა შანსებს მურერის სასარგებლოდ აფასებენ, მაგრამ ზომიერი უპირატესობით. (1:3).

აჟიოტაჟი ამ ბრძოლის გარშემო დიდია. საკაბელო ტელევიზიამ უკვე შეიძინა ტელერეპორტაჟის უფლება, თუმცა, დარწმუნებულია, რომ მეტოქეები 12 რაუნდს არ დაჰყოფენ რინგზე. ბილეთებიც საკმაოდ ინტენსიურად იყიდება. ერთი სიტყვით, ორგანიზატორებმა ამ მატჩს საკმარისი იმიჯი შეუქმნეს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თავად მოკრივეებზე...

ამასობაში მანჰეტენის სასამართლომ ნაწილობრივად გაამართლა ცნობილი მენეჯერი დონ კინგი, რომელსაც ბრალად ედებოდა ერთ-ერთი ჩაშლილი მატჩიდან 350 ათასი დოლარის მითვისება. ნაწილობრივიო, ვამბობთ იმიტომ, რომ სხვა, რვამდე წვრილ-წვრილი ბრალდება ჯერჯერობით დაუტოვა. მათზე გადაწყვეტილებას სასამართლო მოგვიანებით გამოიტანს. მანამდე კი კინგს აშშ-ს ტერიტორიაზე გადაადგილების შეუზღუდავი უფლება დაუტოვეს.

## „ლელო"-60

## ეს ჩვენი ისტორიაა

● ...ტანვარჯიშის, ცურვის, ფრენბურთის და კრივის სექციები ჩამოყალიბდა თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში ".

● ...„თუ წინათ ლელობურთს უმთავრესად გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში მისდევდნენ, ახლა იგი ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. 20 ივლისს იწყება საქართველოს 1949 წლის პირველობის გათამაშება ლელობურთში. მოედანზე გამოვლენ აფხაზეთის ნაკრები, ჩოხატაურის, ბათუმის, ფოთის, მახარაძის, გურჯაანის, სიღნაღის, გეგეჭკორის, სამტრედიის, ქუთაისის რაიონების წარმომადგენლები"...

● „შედგა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრთა კრება. დახურული (ფარული) კენჭისყრით კრებამ კაპიტნად აირჩია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე".

„ლელო", 22 ივლისი, 1949 წ.

● „მიმდინარე წლის აპრილიდან ბათუმში მუშაობს ცურვის სკოლა. ასეთი სკოლა საბჭოთა კავშირის მხოლოდ რვა ქალაქშია"...

● ...„კაუნასში ამას წინათ დამთავრებულ მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა ოსტატმა გაბრიელ ხანუკაშვილმა მიმდინარე სეზონშიც შეინარჩუნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული და ოქროს მეორე მედალი დაიმსახურა".

● „მოსკოვი. ფენომენალურ შედეგს თარჯრბენში 80 მეტრზე მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ელენე გოკიელმა, დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი... გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში თბილისელმა სპორტის ოსტატმა გ. ათანელაშვილმა, შედეგით 186 სანტიმეტრი, მეორე ადგილი დაიკავა".

● „ამ დღეებში თბილისის ველოსტადიონზე ო. დადუნაშვილმა ოთხი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა"...

„ლელო", 22 ივლისი, 1949 წ.

## მსოფლიო რეკორდები

კიტო. იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაუმჯობესდა მსოფლიოს რეკორდი. 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებულმა ავსტრალიელმა ბრედლი მაკგიმ დისტანცია 3.20,586 წუთში გაიარა. საინტერესოა, რომ ძველი მსოფლიო რეკორდიც მან დაამყარა შარშან, ადელაიდაში.

კოლორადო-სპრინგსი. ფრანგმა ველოსიპედისტმა ქალმა ფელიცია ბალანჟემ მსოფლიო თასის გათამაშების დროს ყველას აჯობა 500 მეტრზე გიტში — 34,474. ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია. ძველი რეკორდი გაუმჯობესდა იმავე ტრეკზე, იმავე ფელიცია ბალანჟეს მიერ სამი კვირით ადრე. შარშან მან 36,604 აჩვენა.

# მადლი შენს ღვაწლს, მოჰიკანო!

128 წლის ჰოგნარელ ივანე მართალს მთელი ქუთაისის მაზრა იცნობდა. მისი სიტყვა და გადაწყვეტილება მუდამ სამართლიანი იყო და სოფლისათვის კანონად ითვლებოდა. შთამომავალნი სიამაყით იგონებენ ღირსეულ წინაპარს, ხშირ-ხშირად შემოუსხდებიან რა პაპისეულ მასიურ მაგიდას, გათლილი ქვისაგან რომ დაუმზადებიათ საშვილიშვილოდ. ერთ-ერთი ასეთი შეკრების მოწმე — მონაწილე ჩვენც გავხდით. მის მოწაფესთან, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ, სპორტის ოსტატ ვაჟა ციხელაშვილთან ერთად.

ოთხი გოლიათი შვილიშვილი ვაჟი და ერთიც ქალი ჰყავდა ივანე ბასილაძეს, მთელი სოფელი „მართალის" სახელით რომ იცნობდა. ოთხივემ სპორტს მიჰყო ხელი და ჰოი საოცრებავ, ოთხივე ძალოსანი გამოვიდა — რომ იტყვიან, ერთი მეორეზე უკეთესნი. „ოჯახის ჩემპიონად" მაინც უფროსი შვილიშვილი — დიმიტრი ითვლებოდა.

... აბა რომელ ქუთაისელს არ გაუგონია მათ ძველ ქალაქში ულამაზესი „სემეინი" ბაღი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მის დაჩრდილულ ხეივანში 20 წლის მიტრო ბასილაძე მიაბიჯებდა. კუნთმაგარი ჭაბუკი მოულოდნელად ვიღაცამ იხმო, ჯერ ასაკი და ვინაობა გამოჰკითხა, მერე საქმიანობა, ბოლოს კი შესთავაზა ხვალვე მისულიყო მასთან ძალოსნობის სექციაში სავარჯიშოდ.

— შენგან ნამდვილ ჩემპიონს გამოვზრდი —უთხრა ყმაწვილს ცნობილმა ქუთაისელმა მწვრთნელმა გიორგი ქავთარაძემ.

არც შემცდარა. ნიჭიერი სპორტსმენი, რომ იტყვიან, ძალოსნობის ფიცარნაგზე „რკინას კვნეტდა" და სულ მალე გაითქვა სახელი. იმ ბედნიერი შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის ტექნიკუმი, რომელშიც ძალოსნობის დიდებული სპეციალისტი კოტე ზაუტაშვილი მოღვაწეობდა. დიმიტრიმ დიდად გაიხარა, როდესაც შეიტყო, რომ მისი მწვრთნელი ბატონი კოტე იქნებოდა. მალე დ. ბასილაძემ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ამიერკავკასიის პირველობაზე პრიზიორი გახდა. 1936 წელს ბაქოში დიმიტრიმ ამიერკავკასიის რეკორდი დაამყარა მარცხენა ხელით აკვრაში. თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი გაიხსნა. მისი პირველი, 1939 წლის გამოშვების ტრადიციულ ჯგუფურ სურათზე დ. ბასილაძის პორტრეტიცაა სერგო შუდრას, ზინა ბპოდავაძის, კოტე ასტახიშვილის, შურა რატიას, დავით ფავლენიშვილის და სხვა ღვაწლმოსილ ადამიანთა გვერდით.

ახალგაზრდა ძალოსანმა იმხანად შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობის პარალელურად მწვრთნელობაშიც მოსინჯა თავი. კოტე ზაუტაშვილმა თავისთან, უნივერსიტეტში მწვრთნელად აიყვანა. ამ დროისათვის თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდნენ დიმიტრის ძმებიც — გენადი, სერგო და პავლე. უფროს ძმასთან უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დაიწყო ვარჯიში სამივემ. მალე ისინიც საუკეთესო შტანგისტები გახდნენ — არაერთხელ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის წოდება და რამდენიმე რეკორდიც დაამყარეს. ამასთან, ძმები ბასილაძეები მრავალმხრივი სპორტსმენები იყვნენ.

სილიბისტრო ბასილაძის უფროსი ვაჟიშვილი — დიმიტრი წარმატებით გამოდიოდა საკავშირო შეჯიბრებებშიც — სპორტსაზოგადოებების „დინამოს", „უროჟაისა" თუ „ისკრას" ცენტრალური საბჭოების პირველობებზე, მეტწილად ჩემპიონი ხდებოდა ქვემძიმე წონაში და რეკორდებსაც ხშირ-ხშირად ამყარებდა; მას ეკუთვნოდა მსოფლიო მიღწევაც მარჯვენა ხელით აკვრაში — 97,5 კილოგრამი. უკანასკნელად დიმიტრი ბასილაძე გუნდის ინტერესებისთვის ფიცარნაგზე 44 წლისა ნევისპირა ქალაქში გამოვიდა. შემდეგ დიმიტრი მთლიანად საწვრთნელ მუშაობაზე გადაერთო — დღენიადაგ დადიოდა ქალაქის ქუჩებში, მეტწილად გარეუბნებში, ეძებდა ტალანტებს.



— ასეთი გულმოდგინე, ნაყოფიერი მწვრთნელი, ვფიქრობ, სპორტის ბევრ სახეობას შემურდებოდა, ამასთან, ბატონი მიტრო ჩვენი სპორტის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანია — გვეუბნება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი შოთა ბუაძე.

1961 წელს დ. ბასილაძე კვლავ მშობლიურ ქუთაისში მიავლინეს სამუშაოდ. კვლავ გულმოდგინებით განაგრძო საქმიანობა და არაერთი გამორჩეული ძალოსანი მოამზადა. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ მან აღმოაჩინა დიდებული შტანგისტი მიტო შანიძე. ბასილაძემ იგი თბილისში ჩამოიყვანა და შემდეგ დამსახურებულ მწვრთნელს შოთა წერეთელს გადაულოცა.

დღეს 82 წლის დიმიტრი ბასილაძეს ბევრი რამ აქვს გასახსენებელი, თუნდაც ის ამბავი, როდესაც გორში, სადაც „რეკორდების დღე" ტარდებოდა, ლეგენდარული ძალოსანი გრიგორი ნოვაკი დაამარცხა ზედიზედ სამჯერ... მკლავის გადაწევაში. ამ ისტორიული ფაქტის მოწმენი გორის სასტუმროში იყვნენ გამოჩენილი მძლეოსნები იაკობ კუცენკო, ნიკოლაი შატოვი და მამია ყლენტი, რომელმაც ამ მეტად საინტერესო ორთაბრძოლის მსაჯობა იკისრა შეკრებილთა თხოვნით.

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი შტანგისტი აღუზარდა დ. ბასილაძემ საქართველოს. მარტო მათი ვინაობისა და ტიტულების ჩამოთვლა მთელ გვერდს წაიღებდა. ამიტომ ცხადია, თავს ვიკავებთ ამ განზრახვაზე. მიუხედავად მისი გაფრთხილებისა: „ეცადე არავინ გამომიტოვო, ხომ იცი, გული დაწყდებათ".

დაბოლოს არ შეიძლება არ ვთქვათ ბასილაძეების ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელზე ბატონ დიმიტრის შვილიშვილ, 4 წლის ლაშაზე.

— არ ვიცი, ისიც სპორტსმენი გამოვა თუ არა, მაგრამ მკლავის გადაწევა უკვე ვასწავლე, ეგებ ოდესმე გამოადგეს „ნოვაკებთან" ჭიდილში.

ოთარ ნოზაძე

სურათზე: ქუთაისი, ქალაქის სტადიონი, დიმიტრი ბასილაძის საჩვენებელი გამოსვლა 1947 წლის მაისში.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

# ახალი ხელსაწყო სპორტსმენებისათვის

ცნობილია, რომ ეგრეთწოდებული, სპორტული წამზომები ვერ უზრუნველყოფენ საკმაო სიზუსტეს შეჯიბრების დროის განსაზღვრისას. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სპრინტერულ რბენაში, რაც სპორტსმენთა და სპეციალისტთა უკმაყოფილებას იწვევს.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ბაზაზე ა. თავართქილაძე კარგა ხანია მუშაობს სპორტსმენთათვის ხელსაწყოთა შექმნაზე ელექტრონიკის გამოყენებით. ასე, მაგალითად, მისი ნახელავი ფა[illegible] გამოიყენება ჩვენი ჩოგბურთელების, ფეხბურთელების (კერძოდ, თბილისის „დინამოს") მომზადების საქმეში. სხვადასხვა დროს ისინი წარმატებით იქნა დემონსტრირებული პრესტიჟულ გამოფენებზე, სადაც დიპლომებითა და სიგელებით აღინიშნა ორიგინალურობისა და საუკეთესო საექსპლოატაციო თვისებების გამო.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ და ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრამ ა. თავართქილაძეს სთხოვეს შეექმნა რბენის განმსაზღვრელი ტექნიკური ელექტრომოწყობილობა. ორი წელი დასჭირდა ავტორს, რათა დაესრულებინა „მძლეოსნური შეჯიბრების ქრონომეტრირების ფოტოელექტრონული სისტემა". ეს პრინციპიალურად ახალი სქემა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მსაჯი — ქრონომეტრაჟისტის სუბიექტური შეცდომები, ზომავს რა დროს 0,01 წამის სიზუსტით. ხელსაწყო მუშაობს აკუმულატორით ან ჩვეულებრივ დენზე (220 ვოლტი).

ფოტოელექტრონული სისტემა აპრობირებული იქნა პრაქტიკაში — კერძოდ, საქართველოს პირველობაზე, რესპუბლიკის თასის გათამაშებაზე. სპეციალისტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი გამოყენება ვიდეოაპარატურასთან კომპლექტში. დასასრულს დავძენთ, რომ ახალმა ხელსაწყომ — ოთხარხიანმა ელექტრონულმა ციფრებიანმა წამზომმა — ამას წინათ მეტეოროლოგიური ატესტაცია გაიარა „საქსტანდარტის" დეპარტამენტში და მოიწონეს ფართო ექსპლოატაციისათვის.

პირველი საპენსიო ფონდი

სამუშაოდ იწვევს აგენტებს —45 წლამდე ასაკის, სანდომიანი გარეგნობის, კომუნიკაბელურ მანდილოსნებს.

ჯამაგირი გამომუშავებით —უცხოურ ვალუტაში.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის 60.

მობრძანდით 10-დან 12 სთ -მდე

პირველი საპენსიო ფონდი

# ომარ თეთრაძე: ჩემი წასვლა გარდაუვალი იყო

**მარტში როგორც კი გაიგო, რომ მოსკოვის „დინამოს" მწვრთნელად კონსტანტინე ბესკოვი მიიწვიეს, კახაბერ ცხადაძემ მითხრა: „ესე იგი სულ მალე გუნდიდან წავა თეთრაძე. ჩემს გაკვირვებას მან ერთი სიტყვით გასცა პასუხი „ბესკოვი"! პროგნოზი, სამწუხაროდ, სწორი გამოდგა. „სპორტ ექსპრესში" ამ ცნობის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ შევუდექი თეთრაძის ძებნას მოსკოვში, მაგრამ თვითონ მომნახა.**

— სალაპარაკო მაქვს.

**— რა მოხდა თქვენს შორის?**

— ის, რაც უნდა მომხდარიყო. გაბმულ თოკზე სიარული ძნელი საქმეა — ადრე თუ გვიან უფსკრულში გადაიჩეხები უსათუოდ. ბესკოვთან დიდი ხანია არცთუ კარგი ურთიერთობა მაქვს. ასე რომ, სკანდალი მოსალოდნელი იყო.

**— გუნდიდან გაგრიცხეს თუ დუბლში ხართ გადაყვანილი?**

— გამრიცხეს, თუმცა ამ ვითარებაში დუბლებში გადაყვანა და გუნდიდან გარიცხვა დაახლოებით ერთი და იგივეა.

**— ნუთუ ბესკოვი უკმაყოფილოა თქვენი თამაშით? ბოლო მატჩები თქვენ ხომ ყველაზე კარგად ჩაატარეთ?**

— მას არ მოეწონა ცსკა-სთან და ნიჟეგოროდსკის „ლოკომოტივთან" მარცხის ჩემეული შეფასება. მეორე მატჩის შემდეგ ნიკოლაი ტოლსტიხმა შეკრიბა გუნდი მოთამაშეთა აზრი რომ გაეგო. ჩემი მოსაზრებები, როგორც ჩანს, ყველას არ დაუჯდა ჭკუაში.

**— რა თქვით ასეთი?**

— რომ გუნდი ფიზიკურად ცუდად არის მომზადებული და რომ არმიელებმა, მაგალითად, გადაგვთელეს. პასუხი ასეთი მივიღე: „შენ თვითონ ხარ სუსტად მომზადებული".

**— საუბარი შემდგომ თუ გაგრძელდა?**

— მეორე დღეს ვარჯიშზე გასვლისას კონსტანტინე ივანეს ძემ მითხრა: „კალიტვინცევისა და სმერტინის მსგავსად გუნდი უნდა ეძებო". მე ვუპასუხე: „რატომ უნდა ვეძებო, როცა მყავს გუნდი, გაფორმებული მაქვს მასთან კონტრაქტი, გარკვეული ვალდებულებები მაქვს ნაკისრი კოლექტივისა და გულშემატკივრების წინაშე". პასუხი ერთობ ლაკონიური იყო: „ძალიან კარგი, ჩვენ დუბლებიც გვყავს".

**— რა მოხდა მერე?**

— გულდასაწყვეტია, როცა ასე მიდიხარ გუნდიდან, რომელშიც შენი ცხოვრების დიდი ნაწილი გაგიტარებია. „დინამოში" თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ უფროს მწვრთნელთან ასეთი ურთიერთობის შემდეგ, ალბათ, აღარ ღირს დარჩენა.

**— გუნდის როგორი რეაქცია მოჰყვა ამას?**

— განსაკუთრებული ემოცია არავის გამოუმჟღავნებია. ბოლო ამბების ფონზე ჩემი ინციდენტი არავისთვის ყოფილა მოულოდნელი.

**— რას აპირებთ?**

— მაქვს რამდენიმე წინადადება, ასე რომ, უმუშევარი არ დავრჩები.

**— ალბათ, ვლადიკავკაზის „სპარტაკი" გაქვთ მხედველობაში?**

— ისიც, რა თქმა უნდა. გაზაევთან გადასვლა ჯერ კიდევ ზამთარში მინდოდა, მაგრამ მაშინ არ გამიშვეს.

**— მაშ ვეტო თქვენს გადასვლას ნიკოლაი ტოლსტიხმა დაადო, ხომ არ ფიქრობთ, რომ სიტუაცია ამჯერადაც განმეორდება? საფიქრებელია პრეზიდენტმა არ მოისურვოს ნაკრების ერთადერთ წევრთან განშორება.**

— რა ფასი აქვს ნაკრების წევრს, თუკი იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდება? თანაც მარჯვენა ფლანგზე გაცილებით ნაკლები სარგებლობა მომაქვს, ვიდრე საყრდენი ნახევარმცველის ჩვეულ ადგილზე.

**— თქვენდამი ინტერესს, თუ არ ვცდები, მოსკოვის „სპარტაკიც" იჩენს.**

— წინადადება მომცეს, მაგრამ ჯერჯერობით სიტუაცია ბოლომდე ნათელი არ არის და ამაზე საუბრისაგან თავს ვიკავებ.

**— საზღვარგარეთ წასვლაზე თუ გიფიქრიათ?**

— ჯერ არა. ბოლო დროს რამდენიმე ხელსაყრელი ვარიანტი მქონდა, მაგრამ ვგრძნობ, არ მითქვამს რუსეთში საბოლოო სიტყვა. ჯერ კიდევ მინდა აქ ვითამაშო.

**— საგულისხმოა ალბათ, რომ თქვენსავით გაგდებულმა იახიმოვიჩმაც გამოთქვა უკმაყოფილება მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების გამო.**

— იგი ერთი დღით შეყოვნდა მინსკში, ჩამოვიდა და ანგარიში გასწორებული დახვდა. საერთოდ კი გაუგებარია: მოწვევიდან ცხრა დღის შემდეგ გააგდეს კაცი.

**— როგორი სიტუაციაა ამჟამად „დინამოში"?**

— იდეალურიაო, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი. ეს ალბათ იგორ დობროვოლსკის წასვლითაა გამოწვეული. ჩვენ დავკარგეთ დიდი დასაყრდენი, ლიდერი, მისი შეცვლა კი ვერაფრით ვერ მოხერხდა.

**— როგორ გესახებათ „დინამოს" მომავალი?**

— ჩემს თავზე არაფერს ვამბობ, აი სმერტინისა და კალიტვინცევის არყოფნა თუ როგორ დაეტყო გუნდს, ყველა კარგად ხედავს. ჩვენ გავიხლიჩეთ. „ლოკომოტივი" კი აღზევდა. არც ოჰანესიანი ასრულებს თავის გუნდში მეორეხარისხოვან როლს ... საყრდენი ნახევარმცველის ადგილი ფაქტობრივად ნახევარმა გუნდმა მოსინჯა ხიდიატულინიდან დაწყებული ივანოვით დამთავრებული და ვერავინ გამოიჩინა თავი. ერთადერთი სიხარული გახლავთ ის, რომ ათამაშდა სამუტენკოვი.

ალექსეი ანდრონოვი

**სანამ მოსკოვში ეს ინტერვიუ მზადდებოდა, „სპორტ ექსპრესის" კორესპონდენტი ესაუბრა ტიუმენში მყოფ „დინამოს" კლუბის პრეზიდენტს ნიკოლაი ტოლსტიხს. მოგვყავს მხოლოდ ერთი ნაწყვეტი საუბრიდან, რომელიც ომარ თეთრაძის საქმეს ეხება.**

**— რატომ გააგდეს გუნდიდან რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ომარ თეთრაძე?**

— დღესდღეობით ასეთი ფორმულირება არ არის სწორი. თეთრაძეს წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი „დინამოსთან". უნდა გითხრათ, რომ თეთრაძე და ბესკოვი სხვადასხვა შეხედულებისა არიან ფეხბურთზე. მხოლოდ მთავარმა მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს ვინ გამოვა მოედანზე და ვინ არა. მალე გაიმართება კლუბის დირექტორთა საბჭოს შეკრება, რომელზეც უსათუოდ განიხილება „თეთრაძის საქმე".

„სპორტექსპრესი" 5.8.1994 №142

თარგმანი მცირედი შემოკლებით.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ჩვენი საქმე ფეხბურთია და არა პოლიტიკა! ამბობს ჟ. ავილანჟი

მანაგუაში, კეტბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მიწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟიც. იქ იმყოფებოდა, აგრეთვე, ურუგვაელი მწერალი და ჟურნალისტი ედუარდო გალეანო, რომელიც ავილანჟის დაუძინებელ მტრად ითვლება და დროგამოშვებით მკაცრად აკრიტიკებს მის საქმიანობას და ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

ჟურნალისტების თხოვნით გამართულ პრესკონფერენციაზე ფიფას პრეზიდენტმა უარყო გალეანოს ბრალდება თითქოს დიეგო მარადონას დისკვალიფიკაცია პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი.

— ჩვენი საქმეა ფეხბურთი და არა პოლიტიკა, — თქვა ავილანჟმა. ამიტომ პოლიტიკაზე საუბარი ამ კონტექსტში ცილისწამებაა და სხვა არაფერი. მარადონა ბავშვი არ არის. მას არც გამოცდილება აკლია და არც საქმეში ჩახედულობა. მან კარგად იცოდა რას აკეთებდა და რაზეც მიდიოდა, მით უფრო, რომ ჩემპიონატამდე ფინალში მოასპარეზე ყველა გუნდი საგულდაგულოდ იყო ინფორმირებული აკრძალული პრეპარატების თაობაზე.

პრეზიდენტს ჰკითხეს როგორია ფედერაციის საბოლოო გადაწყვეტილება მარადონას საქციელზე. მან უპასუხა, რომ აგვისტოს ბოლოს იკრიბება ფიფას ტექნიკური კომისია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გაარჩევს ე. წ. მარადონას საქმეს და სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

### „ტოტენჰემმა" გამოსავალი გამონახა

ბრაზილიის ნაკრებისა და „სან-პაულუს" ფეხბურთელმა მიულერმა უჩივლა თავისი კლუბის ხელმძღვანელობას, რომელმაც დროზე არ მისცა მას ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურში" გადასვლის უფლება. ამან, ფეხბურთელის აზრით, საგრძნობლად დააზარალა იგი, ვინაიდან ინგლისელებმა მიულერის სანაცვლოდ გერმანელი კლინსმანი „იყიდეს". ფეხბურთელი თავისი კლუბისაგან ფინანსურ კომპენსაციას მოითხოვს.

„სან-პაულუს" ხელმძღვანელობამ ჯერ არ გასცა კონკრეტული პასუხი თავის მოთამაშეს, თუმცა ოფიციალურად არც უარი უთქვამს მისთვის. როგორც ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავენ, ადმინისტრაცია ელოდება მიულერის მორიგ ნაბიჯს და გადაწყვეტილებასაც მის შესაბამისად მიიღებს.

ამასობაში კი „ტოტენჰემმა" „მონაკოსაგან" 2 მილიონი გირვანქა სტერლინგად შეიძინა გერმანელი იურგენ კლინსმანი — მსოფლიოს ექსჩემპიონი და წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელმაც 5 მატჩში 5 გოლი გაიტანა. „ტოტენჰემს" სასწრაფოდ სჭირდებოდა შემადგენლობის გაძლიერება, ვინაიდან ქვეყნის ახალ ჩემპიონატს იგი მინუს ექვსი ქულით იწყებს. ასეთი სასჯელი დააკისრა მას ინგლისის ფედერაციამ მოთამაშეებისათვის უკანონოდ გაცემული ხელფასებისთვის.

კლინსმანს იტალიაშიც ეპატიჟებოდა რამდენიმე გუნდი, მაგრამ მცირედი ყოყმანის შემდეგ მან „ტოტენჰემი" არჩია.

● ● ●

„ბაიერნიდან" (გერმანია) წასვლას აპირებს მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი, ბრაზილიელი ჟორჟინიო. მას რამდენიმე წინადადება აქვს მიღებული თავისი სამშობლოდან, აგრეთვე იაპონიიდან და აშშ-დან. ჟურნალისტების აზრით ფეხბურთელი, გა- ხაგები მიზეზების გამო, ან იაპონიას, ან აშშ-ს აირჩევს.

მწიფდება სკანდალი ნიგერიელი „ემანუელ ამუნიკეს საქმესთან" დაკავშირებით. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მან ხელი მოაწერა კონტრაქტს გერმანიის „დუისბურგთან", ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კი ლისაბონის „სპორტინგთან". ფიქრობენ, რომ სკანდალი ერთობ მწვავე იქნება.

„კრუზეიროდან" პოლანდიის „ეინდჰოვენში" გადავიდა ბრაზილიის ფეხბურთის იმედი, 18 წლის ამომავალი ვარსკვლავი რონალდო. ჰოლანდიელებს ეს გარიგება 6 მილიონი დოლარი უჯდებათ. აღნიშნული თანხის გარდა 15 პროცენტს დამატებით მიიღებს თვად ფეხბურთელი, 15 პროცენტს კი ბრაზილიის სპორტის კონფედერაცია. აღსანიშნავია, რომ 6 მილიონ დოლარს იხდიდა „აიაქსიც", მაგრამ უპროცენტებოდ.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატამდე (1998 წელი, საფრანგეთი) ნაკრების უფროს მწვრთნელად დატოვა მიგელ მეჰია [illegible]რონი, რომლის 20-თვიანმა მუშაობამ საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო.

მაროკოს ეროვნული ნაკრების სუსტი გამოსვლა აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე მთლიანად მწვრთნელს — აბდელა ბლინდს დაბრალდა, იგი, ბუნებრივია, გადააყენეს და მის ადგილზე დანიშნეს მოჰამედ ამარი, რომელიც ადრე რაბატის „ფარ"-ში თამაშობდა.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო ნაკრების უფროსი მწვრთნელის ალფიო ბასილეს განცხადება გადადგომის თაობაზე, რომელსაც ბრალდება ქვეყნის მთავარი გუნდის წარუმატებელი გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატში. ვარაუდობენ, რომ მას ან მსოფლიო ექსჩემპიონი დანიელ პასარელა შეცვლის, ან კარლოს ბილარდო, რომელიც ერთხელ უკვე ედგა სათავეში ნაკრებ გუნდს.

პოპულარულ ჩერნოგორიელ ფეხბურთელს დეიან სავიჩევიჩს გარკვეული პრობლემები აქვს „მილანში": ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ მწვრთნელი ფაბიო კაპელო მას, როგორც ზედმეტ უცხოელს, არ დააყენებს შემადგენლობაში. სავიჩევიჩის აზრით სამი ადგილი გუნდში გარანტირებული აქვს დესაის, ბობანსა და გულიტს, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი მას ხელს არ აძლევს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ადრე სავიჩევიჩს მფარველობდა „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც ამჟამად იტალიის პრემიერ-მინისტრია და, ბუნებრივია, ფეხბურთისთვის ვეღარ იცლის.

ალექსი ლალასი პირველი ამერიკელი ფეხბურთელი იქნება იტალიის პროფესიულ ლიგაში. მან, ამას წინათ, კონტრაქტი გააფორმა „პადოვასთან". შეთანხმების საფუძველზე ფეხბურთელი 200 ათას დოლარს მიიღებს.

ესპანეთში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი 18 წლამდე ჭაბუკთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და გერმანიის გუნდები, თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანებით გამარჯვებ[ა] მოიპოვეს პორტუგალიელებმა (4:1).

ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში ესპანელებმა დაამარცხეს პოლანდიის ნაკრები — 5:2. გაიმართა მატჩი მეხუთე ადგილისთვისაც. რუსეთისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა რუსების გამარჯვებით — 2:0, ამით რუსეთის ნაკრებმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს ამ ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გაისად გაიმართება ნიგერიაში.

კეთილი ნების თამაშების დახურვის დღეს სანკტ-პეტერბურგში მოეწყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა რუსეთის ახალ ნაკრებსა და მსოფლიო ვარსკვლავთაგან შემდგარ გუნდს შორის. ანგარიშით 2-1 გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ფეხბურთელებმა.

საინტერესო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გაიმართა ბუენოს-აირესში: მინი-ფეხბურთის მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები. სხვებს შორის არგენტინელთა რიგებში გამოდიოდნენ მსოფლიოს ჩემპიონები ბებეტო და დუნგა, ხოლო არგენტინელთა გუნდში თამაშობდა თვით დიეგო მარადონა. თამაში მოიგეს ბრაზილიელებმა — 7-3. არგენტინელთაგან სამიდან 2 ბურთი გაიტანა მარადონამ, თუმცა მან განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში აპირებს ფეხბურთიდან წასვლას.

დაიწყო საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი ტურების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ასეთი შედეგები: „ბორდო" — „ნიცა" 1-0, „პარი" — „პარი სენ-ჟერმანი" 0-0, „ლანსი" — „ლილი" 1-1, „ნიცა" — „სოშო" 1-0, „ოსერი" — „ნანტი" 1-2.

შვეიცარია. ახლახან დაწყებულ ჩემპიონატში შესამჩნევია აფრიკიდან მოწვეულ ზანგ ფეხბურთელთა დიდი რაოდენობა. ასე მაგალითად, შვეიცარიის კლუბებში ითამაშებენ მაროკოელი ბუდერბალა, ნიგერიელი სოგბიე, ზიმბაბველი სავუ და სხვანი. პირველ ტურში „სერვეტი" დამარცხდა „ქსამაქსთან" — 1-2, „ბაზელი" — „ლუგანოსთან" 0-1, „სიონმა" მოუგო „არაუს" — 2-0.

პოლონეთი. ეროვნულ ჩემპიონატში 18 კლუბი ჩაება. „ცნობილმა „ვიძევმა" (ლოძი) სტუმრად დაამარცხა „ვარტა" — 4-0, ხოლო „ლეგიისა" და „გუტნიკის" დაძაბული ბრძოლა დამთავრდა „ლეგიის" გამარჯვებით — 1-0.

### ბურთს რომ „შენობით" ელაპარაკონ...

ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ სპორტის ოსტატ მერაბ ასიტაშვილს — ახლო წარსულში ქუთაისის „ტორპედოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" ცენტრალურ ნახევარმცველს. ველისციხის მკვიდრი, ნახევარ საუკუნეს მიტანებული ვეტერანი მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და მეტად საშურ საქმეს მოჰკიდა ხელი — ადგილობრივ საშუალო სკოლაში შეარჩია 12-13 წლის 30-მდე ნორჩი ფეხბურთელი და პირადი ინიციატივით ავარჯიშებს.

— მინდა ისინი ტყავის ბურთის ნამდვილ ფანტიკოსებად გავზარდო, რაც მთავარია, კაცურ კაცებად აღიზარდნენ.

ნორჩები ყოველდღიურად, არდადეგების დღეებში კი ორჯერ ვარჯიშობენ. დღეს ბევრი რამ დამოკიდებულია სპონსორებზე, ამ მხრივ ნორჩ ველისციხელ ფეხბურთელებს მართლაც გაუმართლა — შეფობას ადგილობრივი სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკა-ფირმა „მიგი" (პრეზიდენტი მიხეილ გიორგაძე) უწევს. ბურთები ველისციხელ ფეხბურთელებს თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ უსასყიდლოდ გადასცა. განზრახულია ნორჩებს ვიდეოკამერაც შეუძინონ.

— მზალების ოთხწლიანი გეგმა გვაქვს, — გვითხრა გამომშვიდობებისას მ. ასიტაშვილმა, — მონდომებას არ დავიშურებ, რათა დღევანდელი მეექვსე-მეშვიდე-კლასელები ტყავის ბურთს „შენობით" ელაპარაკონ.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ სექტემბერში საქართველოში გაიმართება ნორჩ ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი, რომლის სპონსორია ცნობილი ამერიკული ფირმა „კოკა-კოლა", მასში ნავარაუდევია ველისციხელ ფეხბურთელთა მონაწილეობაც. მანამდე კი „მიგმა" (9 აგვისტოს) ამხანაგური მატჩი გამართა ყვარელში „დურუჯის" თანატოლებთან. ანგარიშით 4-2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ლუიზა მიტიჩაშვილი


თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა საყურადღებოდ!

ფირმა „კონტინენტალი" გაძლევთ შანსს დაესწროთ განმეორებით მატჩს ქ. კრაიოვაში თბილისის „დინამოსა" და ადგილობრივ „უნივერსიტატიას" შორის.

საბუთების შემოტანა საჩქაროა.

ჩვენი მისამართია: თამარაშვილის ქ.№19, ტელ. 391409. ოფისი. 391058, 342544 ნებისმიერ დროს.


## რობერტო ბაჯო ჩემპიონატზე

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩილეში დიდი სარეკლამო მოგზაურობა მოაწყო იტალიის ნაკრების ლიდერმა რობერტო ბაჯომ. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა მას რამდენიმე შეხვედრა მოუწყვეს. ერთ-ერთ მათგანზე ფეხბურთელმა პა[illegible] გასცა შეკითხვებს:

**რა აზრისა ხართ მატჩის შემდგომ პენალტებზე?**

— ფი[ნალა]მდე, ჩემი აზრით, შეიძლება პენალტებს ვანდოთ ბრძოლის ბედი, თუმცა ესეც უკიდურეს ზომად მიმაჩნია. ფინალური მატჩის ბედი კი, უსათუოდ, სხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

**— მაინც, როგორ?**

— მე, მაგალითად, მომხრე ვარ იმისა, რომ დაინიშნოს გადათამაშება 3-4 დღის შემდეგ. როცა ჩემპიონატი მთელ თვეს გრძელდება, რამდენიმე ზედმეტი დღე ქვეყანას არ დააქცევს.

**— გადათამაშებამაც თუ ვერ გამოავლინა უძლიერესი?**

— პენალტების მოწინააღმდეგე ვარ, აი, დანარჩენზე კი თავი ფედერაციამ იმტვრიოს.

**— როგორ აფასებთ ბრაზილიელთა გამარჯვებას?**

— იგი კანონზომიერი იყო. სხვაგვარი შედეგი ალბათ უსამართლობა იქნებოდა, თუმცა გული დიდად არ დამწყდებოდა.

**— თქვენი აზრით ვინ იყო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი?**

— რა თქმა უნდა, რომარიო. ორი აზრი ამის თაობაზე არ შეიძლება არსებობდეს.

**— რამ დატოვა ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება?**

— ტრაგედიამ, რომელიც ჩემპიონატს გარეთ, კოლუმბიაში მოხდა. ანდრეს ესკობარის მკვლელობას ვგულისხმობ. ამ ამაზრზენმა ფაქტმა ყველა უნდა დაგვაფიქროს. ფეხბურთი მუდამ სიხარულის წყარო იყო და ასეთად უნდა დარჩეს.

**— რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— ამერიკელი ხალხის დამოკიდებულება ფეხბურთისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ველოსიპედით და ნავით... დედამიწის გარშემო

პირველ ქართველ მოგზაურებს — ველოსიპედისტ ჯუმბერ ლეჟავას და აფროსან ნუგზარ კიკნაძეს მრავალი დაბრკოლება, ზოგჯერ ხიფათიც შეხვდათ გზაში. ამას დაემატა წმინდა ტექნიკური და მატერიალური სიძნელეებიც. მიუხედავად ამისა, არც ერთი, არც მეორე არ უშინდება რთულ რეალობას, წამითაც არ უხვევს დასახულ მარშრუტს.

ყოველივე ამის შესახებ ვრცლად და საინტერესოდ უამბრნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტებს ზემოხსენებული მოგზაურების პროგრამის ხელმძღვანელი თემურ მაისურაძე, კომპანია „მეჩარეს" დირექტორი ჟურნალისტი და მოგზაური გვანჯი მანია, საქართველოში გინესის კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ნარიმან იაშალაშვილი და სხვა მოწვეული ოფიციალური პირები. დამსწრეთ იქვე დაურიგდათ „მსოფლიო მოგზაურის" ნომრები.

გინესის წიგნის 11-გზის რეკორდსმენმა ჯუმბერ ლეჟავამ ზუსტად ერთი წლის წინათ აიღო სტარტი მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით სამოგზაუროდ. მან უკვე 20 ქვეყანა გაიარა, წინ კი გაცილებით დიდი გზა უდევს. ჯ. ლეჟავამ გზაში ორი ველოსიპედი „გაცვითა", ახლა იგი ფირმა „დაჩის" მიერ შეძენილ იაპონურ ველომანქანაზე ზის. მან მოგზაურობისას წონაში უკვე 7 კილოგრამი დაიკლო. ჯუმბერი, რომელსაც ჟურნალისტებმა მოსწრებულად „პერპეტუუმ-მობილე" უწოდეს, მოგზაურობისას მსოფლიოს ხალხებს აცნობს საქართველოს, მის ისტორიას, დღევანდელობას, წერს დღიურებს, რაც საფუძვლად დაედება მომავალ წიგნს. დღეს იგი ინდოეთისა და ნეპალის საზღვარზე იმყოფება.

თვითნაკეთი აფრიანი ნავით საკრეისერო იახტა „ლინათი" აიღო სტარტი ივნისის დასაწყისში ნუგზარ კიკნაძემ. ნავარაუდევია, რომ 1995 წლის დამდეგისთვის იგი თანამემამულეს და მეგობარს შორეულ ავსტრალიაში შეხვდება.

რომ იტყვიან, ზურგქარსა და სწრაფ ბორბლებს ვუსურვებთ ჯუმბერსა და ნუგზარს, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, საქართველოში ბევრად ნაკლები იციან, ვიდრე საზღვარგარეთ.

ოთარ ოთარაშვილი

## მკითხველი — გაზეთი

● არის თუ არა დელტაპლანერიზმი სპორტის სახეობა?
გ. გაფრინდაშვილი

დასავლეთის ქვეყნებში არის, ჩვენ კი, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მოვიცლით მისთვის. თუმცა, ამერიკელ ფრენსის მ. როგალოს 1951 წელს აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი პირმშო, სამკუთხედის ფორმის საფრენი აპარატი ხელს შეუწყობდა სპორტის ახალი სახეობის შექმნას. მისთვის იმხანად მთავარი იყო გამოგონების ოფიციალურად დაფიქსირება და შესაბამისი პატენტის მიღება.;

მაგრამ სულ მალე „როგალოს ფრთებით", რომელიც ბერძნულ ასო დელტას წააგავდა (აქედანაა მისი სახელწოდებაც) დაინტერესდნენ სპორტსმენები და მთელი რიგი შესწორებების შემდეგ (სამართავი ტრაპეცია, ჩამოსაჯდომი და ა.შ.) იგი სპორტულ აპარატად აქციეს.

დელტაპლანერიზმი დღეს საკმაოდ გავრცელებული გართობაა. ეწყობა მსოფლიოსა და რეგიონალური ჩემპიონატები სხვადასხვა კლასის აპარატების მართვაში, ხდება შესაბამისი რეკორდების რეგისტრაცია. დელტაპლანერიზმის განვითარებას ხელმძღვანელობს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი რეგიონალური განყოფილებები მთელს მსოფლიოში.

## ვინ უფრო მდიდარია?

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ მძლეოსნობა „სპორტის დედოფალია" და მას ყველაზე ავტორიტეტული და დიდი აუდიტორია ჰყავსო, ამერიკაში განუზომელი პოპულარობით სარგებლობს სპორტის სხვა ოთხი სახეობა. კერძოდ, ამერიკული ფეხბურთი, კეტბურთი, კალათბურთი და ჰოკეი. ეს, პირველ რიგში, კლუბების ღირებულებიდან ჩანს. ვისაც, მაგალითად, სურს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელთა გუნდის ყიდვა, უნდა გადაიხადოს არც მეტი, არც ნაკლები, 168 მილიონი დოლარი.

ქვემოთ გთავაზობთ სპორტის ამ ოთხ სახეობაში ყველაზე ძვირადღირებული და ყველაზე „იაფი" კლუბების სიას:

ამერიკული ფეხბურთი. „დალას კავბოიზი" — 190 მილიონი, „დეტროიტი" — 138.

კეტბურთი. „ნიუ-იორკ იანკიზი" — 166, „მონრეალი" — 75.

კალათბურთი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — 168, „ინდიანა" — 67.

ჰოკეი. „დეტროიტ რედ უინგზი" — 104, „ვინიპეგ ჯეტსი" — 35.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, უახლოეს პერიოდში კლუბები კიდევ უფრო გამდიდრდებიან. ამას განაპირობებს ორი რამ: საგრძნობლად გაიზრდება დასაჯდომი ადგილების რაოდენობა დარბაზებში და მნიშვნელოვნად გაძვირდება ტელეგადაცემათა ღირებულება.

## „სიცოცხლის ელექსირი"

ბოლო დროს, მსოფლიოს მძლეოსნობაში ყველაზე დიდ სენსაციად არის მიჩნეული ჩინელი სტაიერების მსოფლიო რეკორდები. შარშან მათ რამდენიმე ასეთი შედეგი აჩვენეს და სავსებით სამართლიანად აალაპარაკეს სპორტული სამყარო. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამ „სენსაციების მთავარი შემოქმედი", ჩინელი მწვრთნელი მა იუგრენი. მას უკვე ათამდე ქვეყანაში ეპატიჟებიან სამუშაოდ, თანაც 2 მილიონამდე დოლარს სთავაზობენ. მწვრთნელი ჯერჯერობით არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებს, თუმცა ამერიკის კვების მრეწველობას მიჰყიდა თავისი „სიცოცხლის ელექსირი", რაშიც 1,15 მილიონი დოლარი მიიღო. კაცმა არ იცის რაშია ჩინელი სპეციალისტის წარმატების საიდუმლოება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სპორტსმენებს მაღალმთიანეთში ავარჯიშებს და ასმევს... კუს სისხლს.

## პრეზიდენტის წინადადებით

შუა აზიის ქვეყნებში (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში) ყოფნის დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გამოთქვა მოსაზრება ცენტრალური აზიის თამაშების მოწყობის თაობაზე, რასაც თვითონ იგი მხურვალედ დაუჭერდა მხარს. და აი, როგორც ცნობილი გახდა, გაისად სავარაუდოა ასეთი რეგიონალური თამაშების მოწყობა. მასში მონაწილეობის სურვილი ერთხმად გამოთქვეს: უზბეკეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა და ტაჯიკეთმა.

## 223 სვლაში...

კუ და მტილი ორი მხედრის წინააღმდეგ! მოჭადრაკეები ასეთ პოზიციაში უმეტესად ყაიმზე თანხმდებიან. თუმცა, ერთ-ერთ მხარეს ზედმეტი ხარისხი აქვს. ასეთი ექსფიგურიანი ენდშპილი (ბუნებრივია, მეფეების დამატებით) ზუსტი თამაშის პირობებში ჯერ არავის მოუგია, არადა, მოგება თურმე არის... 223 სვლაში.

ეს დაადგინა 25 წლის ამერიკელმა სტუდენტმა ლუის სტილერმა. სტილერმა უახლესი სუპერკომპიუტერის დახმარებით გამოიყენა რეტროგრადული ანალიზის მეთოდი: ამ „საჭადრაკო ამოცანის" ამოსახსნელად საჭირო გახდა 100 მილიარდი სვლის „შემოწმება". ბუნებრივია მას, ამავე დროს, ოსტატურად შედგენილი პროგრამაც ჰქონდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ექსპერიმენტის წარმატება.

## ნბა-ს ამბები

„ნიუ-ჯერსი ნეტსის" კალათბურთელს დერიკ კიულმენს ბრალად ედება 22 წლის გოგონას გაუპატიურება. სპორტსმენი ძიების დროს ჯიუტად უარყოფდა დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებას. სულ მალე მიჩიგანის შტატის სასამართლო დაადგენს დამნაშავეა თუ არა კიულმენი და როგორ სასჯელს იმსახურებს.

„ატლანტა ჰოქსის" ყოფილ მოთამაშეს დომენიკ უილკინსს ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეცხრე ადგილი უკავია (24 ქულა საშუალოდ ყოველ მატჩში). წლეულს „ჰოქსმა" იგი „ლოს-ანჯელეს კლიპერსს" გაუცვალა დენი მენინგში, მაგრამ მცირე ხნით. დომენიკ უილკინსი, რომელსაც ნბა-ში უკვე 11 სეზონი აქვს გატარებული, ამიერიდან „ბოსტონ სელტიქსში" ითამაშებს.

„სიეტლ სუპერსონიქსმა" ამ დღეებში განაახლა კონტრაქტი თავის გერმანელ მოთამაშესთან, დეტლეფ შრამპთან. ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი შეთანხმების პირობებზე, ცნობილია მხოლოდ, რომ შრამპფი გუნდში კიდევ ერთ სეზონს დარჩება.

## გივი ყალაბეგიშვილი



ჩვენმა მთამსვლელობამ დაკარგა დიდი ქომაგი და მოჭირნახულე, 77 წლის გარდაიცვალა გივი ყალაბეგიშვილი, რომელსაც ახალგაზრდა მთამსვლელებმა სიყვარულით „პაპიკა" შეარქვეს. მაღალი ადამიანური ღირსებებით აღსავსე ამ კაცის სულს მართლაც კეთილი ანაბეჭდი აშშვენებდა, ამას ნიადაგ გრძნობდა ყველა, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან.

გ. ყალაბეგიშვილმა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-ბოტანიკის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში გაიცნო მთები, როცა მონაწილეობდა სხვადასხვა სასიმაღლო ტურისტულ ლაშქრობასა და ალპინიადებში კავკასიონზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი მთელი მონდომებით ემსახურებოდა ჩვენში ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებას. თავისი ნიჭი სრულად გამოავლინა პირველი სასიმაღლო მასშტაბური მთამსვლელური ექსპედიციების მოწყობის დროს, უნარიანი ორგანიზატორის სახელი დაიმკვიდრა. მისი ხელდასმით ქართველ მთამსვლელებს არაერთი ოქროსა და ვერცხლის მედალი ჩამოუტანიათ შორეული პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებიდან.

გ. ყალაბეგიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, ქუთაისში მთამსვლელთა კადრების მომზადებაში. მშობლიური ქალაქის დიდმა სიყვარულმა შეაქმნევინა მას სახელგანთქმული ახალგაზრდული კლუბი „ოქროს ჩარდახი", სადაც მუშავდებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს ტურისტული მარშრუტები.

კეთილი მოსაუბრე, შესანიშნავი მოქალაქე, ასეთი დარჩება დიდხანს გ. ყალაბეგიშვილი მათ შორის, ვინც კი მას იცნობდა.

მთამსვლელი მეგობრები

## ორი პრიზიორი

შავი ზღვის აუზში შემავალი ქვეყნების მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც სევასტოპოლი მასპინძლობდა, მონაწილე ქართველ სპორტსმენთაგან გორელმა ილია ტლაშაძემ (71 კგ) ვერცხლის, ხოლო ქუთაისელმა ირაკლი ფხაკაძემ (81) ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ასპარეზობა საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, რინგზე იბრძოდნენ გერმანიის, ბულგარეთის, მაკედონიის, ისრაელის, თურქეთის, რუსეთის, უკრაინისა და მოლდავეთის წარმომადგენლები.

## მარადონა კვლავ სამართალშია

ბუენოს-აირესი. დიეგო მარადონა, რომელმაც ესოდენ სამარცხვინოდ დაასრულა თავისი გამოსვლა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში, საკუთარ სამშობლოში კვლავ სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ბრალად ედება ის, რომ ჟურნალისტებს პნევმატური შაშხანიდან სროლა აუტეხა. ეს ამბავი მოხდა წლეულს, თებერვალში, როცა პრესის წარმომადგენლებმა ფეხბურთელს აგარაკზე მიაკითხეს იმის გასარკვევად დიეგო მარადონა კვლავ დაუბრუნდებოდა ეროვნულ ნაკრებს თუ არა. არგენტინული კანონებით მსჯავრდებულს 2 წლის პატიმრობა ელის.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

## ტოგო (ავთო) ჭელიძე



ქართველ მორაგბეთა საძმოს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა. ამქვეყნიდან წავიდა კლუბ „შევარდენის" 80-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ტოგო (ავთო) ჭელიძე.

სპორტი უანგაროდ უყვარდა და არჩეულ სახეობასაც წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. ამიტომაც იყო ყველას მიერ მიღებული და დაფასებული. მისი კაცური ხასიათი მჟღავნდებოდა თანაგუნდელებთან ძმურ ურთიერთობაშიც და პირად ცხოვრებაშიც. უყვარდა საქმე და სიმართლე, ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ მკაცრი და მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. აი, სწორედ ეს თვისება გამოარჩევდა თანაგუნდელებისგან, რომლებიც მუდამ გრძნობდნენ მის ყურადღებასა და თანადგომას. არაერთხელ მოუპოვებია წარმატება საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებში. იყო საქართველოს და ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი.

რაგბიმ დაკარგა დიდი მოამაგე, მეგობართა წრემ — კაცური კაცი, ოჯახმა — მზრუნველი.

თანაგუნდელები

## საქართველოს შიტო-რიუ კანტე-დო კოფუკანის ფედერაცია

აცხადებს 14 წლიდან ნებისმიერი ასაკის და სქესის პირების მიღებას, ვისაც სურს დაეუფლოს ტრადიციული კანტე-დოს ხელოვნებას შიტო-რიუს სტილით.

მეცადინეობას გაუძღვებიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორები: ვახტანგ ზუხბაია შავი, ქამრის მესამე დანის მფლობელი, თამაზ ჯახაია, შავი ქამრის პირველი დანის მფლობელი.

საქართველოს შიტო-რიუ კოფუკანის ფედერაცია მსოფლიო ფედერაციის წევრია 1991 წლიდან. იგი ყოველწლიურად ღებულობს მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე. მომავალ წელს, აპრილში კი მიწვეულია პორტუგალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე.

ვარჯიში ჩატარდება ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, 18-დან 20 საათამდე შემდეგ მისამართზე — ჭავჭავაძის პროსპექტი №49ა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ტანვარჯიშის დარბაზი.

ტელეფონები: 23-40-19; 29-28-99.

საქართველოს შიტო-რიუ კარატე-დო კოფუკანის ფედერაცია

## საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის მერვე-მეცხრე კლასებში შემდეგ განყოფილებებზე:

1. ფეხბურთი, 2. ბ/რ ჭიდაობა, 3. თ/ჭიდაობა, 4. ძიუდო, 5. მძლეოსნობა, 6. ნიჩბოსნობა.

სწავლის პერიოდში რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საყოფაცხოვრებო პირობებით, სამჯერადი კვებით, ხოლო ადგილობრივ მოსწავლეებს მიეცემათ ერთჯერადი კვება.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება, 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა №26,63,191, 4. დახასიათება საშუალო სკოლიდან, სპორტული სკოლიდან, 5. პირადი საქმე (ჩარიცხვის შემდეგ), 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. ფოტოსურათი (3X4) 4 ცალი.

საბუთების მიღება ა/წლის 1 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით 10-დან 14 საათამდე შაბათისა და კვირის გარდა. გამოცდები ჩატარდება 23-31 აგვისტოს.

მისამართი: გლდანი, თიანეთის გზატკეცილი, №25ა.

ტელ: 67-18-34, 67-03-44.

სასწავლებლის დირექცია

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში"